ზეგავლენის მოხდენა ფსიქიკაზე, ადამიანის სულიერი გარდაქმნა. ადამიანი თანდათან ჩამოყალიბდა როგორც უნიკალურად სოციალური არსება, არსება, რომელსაც არ შეეძლო გადარჩენა მარტოს, ჯგუფის გარეშე და რომელსაც შეეძლო ჯგუფის კრიტიკული ინტერესებისათვის საკუთარი ტკივილი და შიში დაევიწყებინა და თავიც გაეწირა.

ამ სტატიის მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს აზრი, რომ მე გაუმართლებლად ზედმეტ ყურადღებას ვაქცევ ბუნებრივი შერჩევის მექანიზმებს და სრულებით არ ვითვალისწინებ სქესობრივი შერჩევის ფაქტორის შესაძლო შედეგებს. დაახლოებით ასეთი რამ დაემართა ჩარლზ დარვინს, რომელმაც პირიქით, ადამიანის წარმოშობის თეორია ფაქტიურად მთლიანად ააგო სქესობრივი შერჩევის პრინციპებზე. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ახალი ჰიპითეზის კრიტიკულ გადამოწმებას დრო სჭირდება, რომ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები უფრო კარგად გამოჩნდეს. მხოლოდ გარკვეული დროის გავლის შემდეგ გახდება ნათელი, თუ რომელი ფაქტორი იყო გადამწყვეტი ადამიანის ევოლუციაში – სქესობრივი შერჩევა თუ ბუნებრივი შერჩევა. ისიც აშკარაა, რომ თუკი ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები გამართლდა, ეს იქნება რევოლუციური მნიშვნელობის ცვლილება ადამიანის ევოლუციური წარსულის შესწავლაში.

ციტირებული ლიტერატურა (იხილეთ ინგლისური ვარიანტის ტექსტის ბოლოში)

**სტივენ ბრაუნი**

## კომენტარი იოსებ ჟორდანიას თვალსაზრისზე

იოსებ ჟორდანიას საინტერესო სამეცნიერო სტატია განიხილავს სქესობრივ შერჩევისა და ბუნებრივი შეჩევის მექანიზმების პოტენციას მთელი რიგი ადამიანური ჩვევებისა და მორფოლოგიური თავისებურებების ასახსნელად. ამ თავისებურებებს შორის არის უაღრესად განსხვავებული მორფოლოგიური და ქცევითი მახასიათებლები, დაწყებული ადამიანის თავზე არსებული გრძელი თმებით, და დამთავრებული ისეთი ჯგუფური ქცევებით, როგოროცაა მაგალითად ცეკვა. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ, მართალია, მთელი რიგი ადამიანური ქცევები ბოლო დროს დაკავშირებულ იქნა სქესობრივ შერჩევასთან (ჯეფრი მილერის და სხვა მეცნიერების მიერ), ისინი ჩვენ უნდა დავუკავშიროთ არა სქესობრივ, არამედ ბუნებრივ შერჩევას, უფრო ზუსტად კი ჩვენი წინაპრების მტაცებლებსაგან თავდაცვის მექანიზმებს. ჟორდანია ერთად განიხილავს მთელ რიგ მორფოლოგიურ და ქცევით მახასიათებლებს, მათ შორის ისეთებს, რომლებიც

ჩემის აზრით, შეიძლება ლოგიკურად დაუკავშირდეს ბუნებრივი შერჩევის მექანიზმებს (ასეთებია მაგალითად, ადამიანის სხეულის ზომის გაზრდა და ორ ფეხზე სიარული), და ამავე დროს ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც ძნელია, დააკავშირო ბუნებრივი შერჩევის მექანიზმებთან (ასეთებია, მაგალითად, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგების გაჩენა). ჩარლზ დარვინი, ბუნებრივი შერჩევის თეორიის ავტორი, პირველი იყო ვინც კითხვის ქვეშ დააყენა მუსიკის შესაძლო როლი ინდივიდუალურ შერჩევაში. 1871 წელს გამოსულ წიგნში „ადამიანის ჩამოყალიბება სქესობრივი შერჩევის მიხედვით" დარვინს აქვს გამოთქმული ფართოდ ცნობილი სიტყვები: „იმის გამო, რომ მუსიკის ბგერების მიერ მიღებული სიამოვნება და სიხარული არავითარ პრაქტიკულ ღირებულებას არ წარმოადგენს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მუსიკა უნდა ვაღიაროთ როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო იდუმალებით მოცული უნარი, რაც კი ადამიანს გააჩნია" (დარვინი, 1871). შესაბამისად, ჟორდანია პირდაპირ ეწინააღმდეგება დარვინის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ხელოვნების ფორმები, მათ შორის მუსიკა, არ აძლევენ რაიმე უპირაესობას ინდივიდუალებს გადარჩენისათვის ბრძოლაში.

აქ შემოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ევოლუციური შერჩევის ორი მექანიზმის შესახებ, რომლებსაც ჟორდანია ერთმანეთს უპირისპირებს: ესენია ბუნებრივი შერჩევა და სქესობრივი შერჩევა. ორივე დაკავშირებულია ინდივიდუალური დონის შერჩევის მექანიზმებთან. ევოლუციონისტები ძირითადად უპირისპირებენ შერჩევის ამ ორ მექანიზმს შერჩევის სხვა მოდელს, ე. წ. „ჯგუფურ შერჩევას", სადაც ჯგუფები და არა ინდივიდები, ხდებიან შერჩევის ერთეულები. ჟორდანია უკუაგდებს სქესობრივი შერჩევის მნიშვნელობას ადამიანის მორფოლოგიისა და ქცევის მახასიათებლებში და ხაზს უსვამს ამ ელემენტების მნიშვნელობას ჯგუფური შერჩევისათვის, მაგრამ ისე, რომ არ ახსენებს ჯგუფური შერჩევის პრინციპს, როგორც ევოლუციურ მექანიზმს. ინდივიდუალური შერჩევის პრინციპული მახასიათებელი არის ის, რომ იგი სოციალური ჯგუფის ინდივიდუალურ წევრებს აპირისპირებს ერთმანეთთან, აღვივებს მათ შორის შეჯიბრს. ჯგუფური შერჩევა კი, ამისდა საპირისპიროდ, წარმოადგენს მექნიზმს, რომელიც სოციალურ ჯგუფში ინდივიდებს შორის აღვივებს კოოპერაციას (და არა შეჯიბრს). ჯგუფური შერჩევის მოდელში ერთმანეთს უპირისპირდებიან ჯგუფები და რა ინდივიდები. მთელი რიგი იმ მახასიათებლებისა, მათ შორის ხმამაღალი სიმღერა, ცეკვა, რიტმი, სხეულის მოხატვა, და კოლექტიური მეობა, რომელთაც ჟორდანია განიხილავს, როგორც მტაცებლებისაგან თავდაცვის „მეორად მექანიზმებს", პირ-

დაპირ თავსდებიან სწორედ ჯგუფური შერჩევის კატეგორიაში.

ამ სტატიის კითხვისას მე ისეთი ზოგადი შთაბეჭდილება გამიჩნდა, რომ სქესობრივი შერჩევის წინააღმდეგ არგუმენტაციის დროს ჟორდანია ეყრდნობა ჯგუფური შერჩევას, მაგრამ ისე, რომ აშკარად არ ახსენებს ჯგუფური შერჩევის პრინციპს.

შესაბამოსად, როდესაც განვიხილავთ მთელ რიგ მორფოლოგიურ და ქცევით თავისებურებებს, რომლებსაც ჟორდანია განიხილავს როგორც „აუდიო-ვიზუალური დაშინების მექანიზმებს", უაღრესად მნიშვნელოვანია, განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ის ელემენტები, რომლებიც მოქმედებდნენ ინდივიდის დონეზე, მათ შორის შეჯიბრს ეყრდნობოდნენ და შესაძლებელია მათი დაკავშირება ბუნებრივ შერჩევასთან, და ის ელემენტები, რომლებიც კოოპერაციას ერდნობოდნენ და შესაბამისად, უნდა განიხილებოდნენ ჯგუფური შერჩევის მოდელის მიხედვით.

ამასთან ერთად, ჯგუფური შერჩევის დონეზე მოქმედი მექანიზმები, რასაც ჟორდანია უკავშირებს მტაცებლებისაგან დაცვას, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო თვით ჯგუფის შიგნით მომხდარი კონფლიქტების დროსაც. გარდა ამისა, მათი გამოყენება შესაძლებელი იყო მტაცებლებისაგან თავდაცვის საპირისპირო ქმედებაშიც – ნადირობის დროსაც. მაგალითად, ცენტრალურ აფრიკაში მცხოვრები პიგმეები მსოფლიოში ყველაზე უფრო მარჯვე სპილოებზე მონადირეები არიან, მაგრამ მათი ნადირობა სხვა არაფერია, თუ არა უაღრესად კოორდინირებული ჯგუფური აქტი, რომელშიც სპეციფიკურ მუსიკას და შესაბამის რიტუალებს უჭირავს წამყვანი ადგილი. შესაბამისად, მართალია ხმამაღალი მუსიკა, ცეკვა, რიტმი, სხეულის მოხატვა, და კოლექტიური მეობა ნადვილად შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო მტაცებებისაგან თავის დასაცავად, ამ ქმედებებს, მტაცებლების მოგერიების გარდა, შეიძლება ჰქონოდათ კიდევ მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია, მათ შორის, ნადირობა და შიდა ჯგუფური კონფლიქტები. მაშინაც კი, როცა ჩვენ მტაცებლებისაგან თავდაცვის პროცესს განვიხილავთ, ამ ქცევების საფუძველი იყო კოლექტიური, და არა ინდივიდუალური ქმედება. სწორედ კოლექტიურობა ხდიდა ამ ქცევებს ეფექტურს მტაცებლებისაგან დაცვაში. ადამანური ცეკვა ძალიან განხვავებული იქნებოდა იმისაგან, რაც ჩვენთვისაა დღეისათვის ცნობილი, ის რომ მხოლოდ ინდივიდუალურად სრულდებოდეს. ჩვენ გვჭირდება ევოლუციური მექანიზმების დადგენა იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რატომ ვცეკვავთ და ვმღერივართ ადამიანები ერთად, და რატომ ვაკეთებთ კიდევ მრავალ სხვა რიტუალიზებულ ქმედებას ერთად, ჯგუფებში. ბუნებრივი შერჩევა მე მაინც არ

მეჩვენება გამართლებულ მექანიზმად ისეთი ადამიანური ქცევების ასახსნელად, როგორიცაა ხელოვნების სხვადასხვა დარგები. ასე რომ, თუკი ინდივიდუალურ დონეზე მოქმედი შერჩევა ერთადერთი ევოლუციური მექანიზმია, რაც კი ჩვენ გაგვაჩნია, მაშინ მუსიკა, ცეკვა, რიტმი, სხეულის მოხატვა და კოლექტიური მეობა ნამდვილად იდუმალებით მოცული პროცესებს წარმოადგენენ.

**იოსებ ჟორდანია**

## პასუხი სტივენ ბრაუნის რეცენზიაზე

რეცენზენტის ცენტრალური კრიტიკული შენიშვნა არის ის, რომ მე ვეყრდნობი ჯგუფური შერჩევის მოდელს, თუმცა ისე, რომ საერთოდ არ ვახსენებ თვით ამ მოდელს. მზად ვარ მივიღო მისი შენიშვნა და პირდაპირ განვაცხადო, რომ ჯგუფური შეჩევის პრინციპის მოქმედება აშკარაა ჯგუფურ სიმღერაში და რიტმულად გაერთიანებულ ჯგუფურ ცეკვაში. უფრი მეტიც, ჩემის აზრით, ჯგუფურ მოდელს ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამაინის ევოლუციურ წარსულში. მე სპეციალურად ავუარე გვერდი შერჩევის ამ ორი (ინდივიდუალური და ჯგუფური) მოდელის განხილვას ჩემს სტატიაში, მაგრამ მზად ვარ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, განსხვავება „ინდივიდუალურ“ და „ჯგუფურ“ მოდელებს შორის არაა ყოველთვის ნათლად გამოხატული. საკმაოდ დამაბნეველია ისიც, რომ მეცნიერები ხშირად კამათობენ თუ რომელი ქცევა უნდა ჩაითვალოს „ინდივიდუალისტურად“ (ანუ არაკოოპერაციულად და ეგოისტურად) და რომელი „ჯგუფურად“ (ანუ კოოპერაციულად და ალტრუისტულად). ერთიდაიგივე საქციელი კვალიფიცირებული არის ხოლმე ზოგჯერ როგორც „ეგოიზმი“ და ზოგჯერ როგორც „ალტრუიზმი“. მას შემდაგ, რაც გაჩნდა ისეთი ახალი ცნებები, როგორიცაა „შემაჯამებელი ჯანმრთელობა“, „ნათესაური შერჩევა“ (ჰამილტონი, 1964), და „საპასუხო ალტრუიზმი“ (ტრივერსი, 1971), ინდივიდუალურ და ჯგუფურ მოდელებს შორის ზღვარი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა. მეცნიერები ვერ თანხმდებიან, მაგალითად, როგორი კვალიფიცირება უნდა გაუკეთონ ბუნებრივი შერჩევის იმ ძალებს, რომლებიც ცხოველს (ან ადამიანს) აიძულებენ რომ შესწიროს საკუთარი სიცოცხლე თავისი შვილებისათვის, ნათესავებისათვის, ანდა ჯგუფის (ტომის, ერის) წევრებისათვის. უნდა ჩავთვალოთ თუ არა „ეგოისტებად“ მხოლოდ ისინი, ვინც მხოლოდ საკუთარ კარგად ყოფნას აქცევენ ყურადღებას? თუ ასევე შეიძლება „ევოლუციურ ეგოისტებად“ ჩაითვალონ ისინიც, ვინც თავის კარგად ყოფნას და სიცოცხლეს სწირავენ შვილე-